საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2012 წლის 4 დეკემბრის
დადგენილება №834

სტუ-ს სტუდენტების ინდივიდუალურ
საგანმანათლებლო პროგრამებზე
გადაყვანის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 და 43-ე მუხლების, ფაკულტეტების დეკანებისა და სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის ბ. გითოლენდიას წარდგინებისა და სტუდენტების პირადი განცხადებების საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ის სტუდენტები, რომლებიც არ ჯდებიან აკადემიურ საბჭოს მიერ 2010 წლის 5 ივლისის #289 დადგენილებით გათვალისწინებულ კატეგორიებში ქვემოთჩამოთვლილი მიზეზების გათვალისწინებით გადაყვანილ იქნენ სწავლების ინდივიდუალურ ფორმაზე;

ა) სამსახური (სტაჟირება);
ბ) სავალდებულო სამხედრო სამსახური;
გ) სხვა სასწავლებელში სწავლა;
დ) მივლინება საზღვარგარეთ;
ე) სტუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო წარმომადგენლები;
ვ) სოციალური პრობლემა;
ზ) ჯანმრთელობის პრობლემა.

2. ფაკულტეტების დეკანებმა უზრუნველყონ ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანილი სტუდენტების სასწავლო პროცესში ჩართვა.
3. სტუდენტთა ელექტრონული მონიტორინგის სისტემის კომპიუტერული უზრუნველყოფის ჯგუფმა გაითვალისწინონ ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე მყოფი სტუდენტებისათვის შეფასებათა რეგისტრაციის ღონისძიებები.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე